თბილისი, 31.05.2016

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საკონსულტაციო ჯგუფის პირველი შეხვედრის ოქმი

შეხვედრის დღის წესრიგი:

- პრეზენტაცია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საკონსულტაციო ჯგუფის სტრუქტურის და უფლებამოსილების შესახებ;

- ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საკონსულტაციო ჯგუფის თავმჯდომარსა და მისი მოადგილის არჩევა;

- ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორიცელების შესახებ 2015 წლის ანგარიშის წარდგენა;

- სურსათის უვნებლობის სფეროში ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში მიმდინარე რეფორმების განხორიცელების შესახებ ინფორმაციის წარდგენა;

- დისკუსია

ესწრებოდნენ:

- გენადი არველაძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე;

- ნოდარ კერესელიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე

- ნატო ჩიქოვანი - საქართველოს სავაჭრო - სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე;

- ნიკოლოზ ხუნძაკიშვილი - საერთაშორისო სავაჭრო პალატის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;

- ირაკლი ასლანიშვილი - საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

- მიხეილ ჭელიძე - საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის პრეზიდენტი;

თბილისი, 31.05.2016

- ირაკლი პეტრიაშვილი - საქართველოს პროფესიულ კავშირთა გაერთიანების თავმჯდომარე;
- გიორგი კაჭარავა - ევროკავშირი - საქართველოს ბიზნეს საბჭოს პროექტების დირექტორი;
- ელგუჯა მელაძე - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი.

განხილული საკითხები:

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საკონსულტაციო ჯგუფის პირველი შეხვედრა გახსნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, ბატონმა გენადი არველაძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა ჯგუფის წევრებს მონაწილეობისთვის და ხაზი გაუსვა DCFTA-ს იმპლემენტაციის პროცესში საკონსულტაციო ჯგუფის მნიშვნელობას.

ბატონმა გენადი არველაძემ წარმოადგინა პრეზენტაცია და ისაუბრა საკონსულტაციო ჯგუფის მიზნებზე, მის სტრუქტურაზე, ფუნქციებსა და უფლებამოსილებაზე.

შეხვედრის მონაწილეებს სიტყვით მიმართა ასევე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ბატონმა ნოდარ კერესელიძემ, რომელმაც მიმოიხილა DCFTA-ს ფარგლებში, სოფლის მეურნეობის სფეროში აღებული ვალდებულებების შესრულების კუთხით განხორციელებული საქმიანობა, მიღწეული შედეგები და ხაზი გაუსვა DCFTA-ს მნიშვნელობას ქართველი მეწარმეებისთვის.

საქართველოს სავაჭრო - სამრეწველო პალატის წარმომადგენელმა, ქალბატონმა ნატო ჩიქოვანმა საკონსულტაციო ჯგუფის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია DCFTA-ის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კუთხით, საქართველოს სავაჭრო - სამრეწველო პალატის მიერ დაგეგმილი აქტივობების შესახებ და გამოთქვა სურვილი ამ მხრივ საკონსულტაციო საბჭოსა და პალატის მიერ ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების შესახებ.

თბილისი, 31.05.2016

საკონსულტაციო ჯგუფის სხვა წევრების მხრიდან პოზიტიურად შეფასდა DCFTA-ს განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საკონსულტაციო ჯგუფის შექმნა და გამოითქვა მზადყოფნა, ჯგუფის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის შესახებ. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების წარმომადგენლის, **ბატონი ირაკლი პეტრიაშვილის მხრიდან გამოითქვა მოსაზრება საკონსულტაციო ჯგუფში სოფლის მეურნეობისა და მსუბუქი მრეწველობის პროფესიული კავშირების გაერთიანების წარმომადგენლის დამატების თაობაზე, რაზეც ჯგუფმა დადებითი გადაწყვეტილება მიიღო.**

სხდომის მსვლელობისას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საკონსულტაციო ჯგუფის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საერთაშორისო სავაჭრო პალატის წარმომადგენლი, ბატონი ნიკოლოზ ხუნდაკიშვილი, ხოლო მის მოადგილედ - საქართველოს სავაჭრო - სამრეწველო პალატის წარმომადგენლი, ქალბატონი ნატო ჩიქოვანი.

შეხვედრის ბოლოს, დაისახა საკონსულტაციო ჯგუფის მუშაობის შემდგომი ნაბიჯები, რომლის ფარგლებშიც მოხდება პრობლემატური საკითხების დამუშავება და საკონსულტაციო ჯგუფის სამდივნოსთვის მიწოდება, რათა მოხდეს მათი განხილვა ივლისის ბოლოს დაგეგმილ შეხვედრაზე.